



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



08/10/2018

55-07-4-201810081417



N 55

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №55
2018 წლის 08 ოქტომბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილების (ვებგვერდი 18/08/2014წ, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.112.016175) პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება“ მეექვსე მუხლში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მეექვსე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ“ პუნქტი:

„ფ) მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე საკრებულოს შესახებ ინფორმაციის განთავსება;“

ბ) მეექვსე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ“ პუნქტი:

„ქ) საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ვებგვერდზე გამოქვეყნება;“

გ) მეექვსე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ღ“ პუნქტი:

„ღ) ვებგვერდზე შემოსული წინადადებებისა და წერილების სისტემატიზაციას და გადაცემას საკრებულო თავმჯდომარისთვის;“

დ) მეექვსე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ“ პუნქტი:

„ყ) საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და
სელექციას.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

